შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
შეთანხმების № 13, 4 ნოემბერი 2022 წელი
პრორექტორი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/
განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №58, „11“ „ნოემბერი“, 2022 წელი
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე
ოქმი №35, „14“ ,,ნოემბერი“, 2022 წელი
რექტორი / დოქტ. საფფეტ ბაირაქთუთან/

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**ამერიკისმცოდნეობა**

თბილისი

2022 წელი

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი) American Studies

**ფაკულტეტი:** სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:** აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ტელეფონი 259-50-05/145; ფაქსი: 259-50-08; მობილური: (+ 995) 593 50 41 06

**ელექტრონული ფოსტა:** tshioshvili@ibsu.edu.ge

**უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე:** ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური ძირითადი

**მიმართულება/დარგი / სპეციალობა** ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად: 11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; 1104 რეგიონმცოდნეობა/110402 ამერიკისმცოდნეობა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი (Bachelor of American Studies) კვალიფიკაციის კოდი: 110402

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 ECTS კრედიტი

**პროგრამის სტრუქტურა:**პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს(6000 სთ.), რომლის ძირითადი სპეციალობის კომპონენტი მოიცავს 130 კრედიტს. მათ შორის:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 კრედიტი (16 სასწავლო კურსი, თითოეული - 5 ECTS კრედიტის ოდენობით);
- საბაკალავრო ნაშრომი- 10 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (შეთავაზებულია ძირითადი სპეციალობის 14 სასწავლო კურსი, თითოეული - 5ECTS კრედიტის ოდენობით, საიდანაც სტუდენტი ირჩევს რვას);

თავისუფალი კომპონენტი - 110 კრედიტი მოიცავს:

- 20 კრედიტი - უცხო ენა; (ნებისმიერი უცხო ენა სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით)
- 5 კრედიტი - ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- 5 კრედიტი - აკადემიური წერა;
- 80 კრედიტი - -თავისუფალი კრედიტები.
  ამ კრედიტების ფარგლებში სტუდენტებისთვის ასევე შეთავაზებული იქნება მათი დასაქმების ხელშეწყობისა და უნარების განვითარების მიზნით შემდეგი ორი ბლოკი (თითოეული 60 კრედიტი) 1) თარგმანმცოდნეობა 2) ამერიკის პოპ კულტურა და საზოგადოებასთან ურთიერთობა;

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მათი ინტერესების გათვალისწინებით აირჩიონ სასწავლო კურსები პროგრამით შეთავაზებული არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ან უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა ინგლისური ენის ჩაბარება და 50%+1 ზღვარის გადალახვა. ეროვნულ გამოცდებზე მესამე სავალდებულო საგნად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი ჩამონათვალიდან: მათემატიკა/ისტორია/ლიტერატურა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

1. ამერიკისმცოდნეობის ერთადერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, გახსნილი 2002 წელს ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობის შედეგად პირველად საქართველოში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთადერთი ინგლისურენოვანი პროგრამა აძლევს შანსს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი კლასის დასავლური ტიპის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული განათლება ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ საქართველოს მოთხოვნების გათვალისწინებით; პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ამერიკული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე რაკურსში.

1.1. მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით, ამ სფეროს უნიკალური სპეციფიკით და ინტერაქტიული მეთოდების მეშვეობით პროგრამა ჩამოუყალიბებს სტუდენტებს ანალიტიკური აზროვნების ჩვევებს სხვადასხვა კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მთელი მსოფლიოს და რა თქმა უნდა საქართველოს აინტერესებს ზესახელმწიფოსთან მიმართებაში. პროგრამა მოელის ამერიკისმცოდნეობის ქართველი და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი სტუდენტებისაგან, შეძლონ ამერიკისა და საკუთარი კულტურის სხვადასხვა ასპექტების შედარება ისეთი ინტერდისციპლინარული კურსების მეშვეობით როგორიცაა: ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკელ ქალთა საკითხების შესწავლა, ამერიკის კულტურა და საზოგადოება. ამ უნიკალური პროგრამის კურსებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური ქართველი და ამერიკელი პროფესორები, ფულბრაიტის მკვლევარები ცნობილი ამერიკული ინივერსიტეტებიდან, რომლებსაც პროგრამისთვის სპეციალურად იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში.

1.2. პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად; განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა; ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციის, გადაწყვეტილების

მიღების უნარები, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი; შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისები, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, კულტურის დეპარტამენტები, ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, მუზეუმები, არქივი და ა.შ. გარდა ამისა, ბაკალავრის ხარისხის პროგრამა წარმოადგენს სოლიდურ საფუძველს შემდგომი სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობისათვის მაგისტრატურისა და დოქტურანტურის პროგრამებში.

**სწავლის შედეგები:**

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და განობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. კურსდამთავრებული აცნობიერებს დემოკრატიული ამერიკის შეერთებული შტატების როლს ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების ფორმირებაში; განიხილავს ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში.
2. მიმოიხილავს და აღწერს ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს სეგმენტებს, როგორებიცაა: ემიგრაცია, რელიგია, ურბანიზაცია, მედია, ამერიკის მთავრობა, ეკონომიკა, სატრანსპორტო სისტემისა და გარემოს დაცვის საკითხებს;
3. აღწერს ამერიკის შეერთებული შტატებს - მულტიკულტურულ საზოგადოებას, ისტორიულ და თანამედროვე რაკურსში, სადაც საპირისპირო შეხედულებების მქონე მოქალაქეებს აერთიანებს ფუნდამენტალური სამოქალაქო ღირებულებები;
4. კითხულობს და იგებს რთულ ინტერდისციპლინარულ ტექსტებს ინგლისურად; გამოაქვს ქვეტექსტები; ავტორის ჩანაფიქრი ამერიკული ლიტერატურული ნაწარმოებებიდან;
5. შეუძლია მოუსმინოს ამერიკელის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპისა, ინტონაციისა თუ თემატიკის; სწორად მოახდინოს რეაგირება გაგონილ იმპულსზე და შეასრულოს რთული დავალებები; მოისმინოს აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებზე;
6. შეუძლია ორთოგრაფიულად და აზრობრივად სწორად დაწეროს თხზულება, ესსე; შეუძლია საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვა, დარგობრივი და მაღალი ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები) აღჭურვილი თხზულების/ესსეს შედგენა;
7. ამზადებს კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამერიკის კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ამერიკელი ქალების საკითხებზე ამერიკისმცოდნეობაში; აფიქსირებს საკუთარ დამოკიდებულებას,

აგროვებს და განმარტავს მონაცემებს; იყენებს მიღებულ ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ თეორიულ ცოდნას და უნარებს ანალიზისთვის,და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრისათვის ;

8. ავლებს პარალელებს მშობლიურ და უცხო კულტურებს შორის, პოულობს განსხვავებებს და მსგავსებებს (ქვეყნის ადმინისტრაციული წყობა, ცხოვრების წესი, ისტორიული ეპოქის თავისებურებები, და სხვ.) და აკეთებს სათანადო დასკვნებს რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს;

9. სპეციალისტებს და არასპეციალისტებს, სხვა კულტურის წარმომადგენელს უზიარებს საკუთარ მოსაზრებებს და აზრებს და ამყარებს კომუნიკაციას იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ.
თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) პრეზენტაციისას;

10. შეუძლია საკუთარი მულტიდისციპლინარული და ამავე დროს ინტერდისციპლინარული სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად დაგეგმვა;

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:**

| პროგრამის მიზნები | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 2 | სწავლის შედეგი 3 | სწავლის შედეგი 4 | სწავლის შედეგი 5 | სწავლის შედეგი 6 | სწავლის შედეგი 7 | სწავლის შედეგი 8 | სწავლის შედეგი 9 | სწავლის შედეგი 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ☑ | ☑ | | | | | | | | |
| 1.1 | ☑ | ☑ | ☑ | | | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | |
| 1.2 | ☑ | ☑ | | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | | | ☑ |

**სწავლის შედეგების რუკა:**

| სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა /კვლევითი კომპონენტი | კომპეტენციების ჩამონათვალი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | | | | | | | | | |
| | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 2 | სწავლის შედეგი 3 | სწავლის შედეგი 4 | სწავლის შედეგი 5 | სწავლის შედეგი6 | სწავლის შედეგი 7 | სწავლის შედეგი 8 | სწავლის შედეგი 9 | სწავლის შედეგი 10 |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | | | | | | | | | ☑ | ☑ |
| კომუნიკაციის უნარ-ჩვევები | | | | ☑ | ☑ | | | | ☑ | ☑ |
| ამერიკული ესსეს წერა | | | | ☑ | | | ☑ | | | ☑ |
| აკადემიური წერა | | | | ☑ | | | ☑ | | | ☑ |
| ამერიკული მხატვრული და არამხატვრული პროზა | | | | ☑ | | ☑ | | | | ☑ |
| ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | | | | ☑ | | | | | ☑ | ☑ |
| ამერიკისმცოდნეობის შესავალი | ☑ | | | ☑ | | | | | | ☑ |
| ამერიკის ღირსშესანიშნაობები I | ☑ | | | | | | | | | ☑ |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკის გეოგრაფია | | ☑ | | | | | ☑ | | | ☑ |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება I | ☑ | ☑ | ☑ | | | ☑ | ☑ | | ☑ | ☑ |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება II | ☑ | ☑ | ☑ | | | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ |
| ამერიკის ლიტერატურის შესავალი | | | | ☑ | | ☑ | ☑ | | | ☑ |
| ამერიკის კულტურა და საზოგადოება | ☑ | | | | | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ |
| ამერიკის ისტორია I | ☑ | ☑ | | | | | ☑ | | | ☑ |
| ამერიკის ისტორია II | ☑ | ☑ | | | | | ☑ | | | ☑ |
| ქალთა საკითხების კვლევა ამერიკაში | | | | | | | ☑ | ☑ | | ☑ |
| ამერიკის პოლიტიკა | ☑ | ☑ | | | | | | | | ☑ |
| კვლევის მეთოდები | | | | | | ☑ | ☑ | | | ☑ |
| საბაკალავრო ნაშრომი | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ | ☑ |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში, პრობლემის დამუშავებაში.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
- **შემთხვევების შესწავლა (case study) -** აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე, რასაც ამერიკისმცოდნეობის პროფესორები მიაწვდიან სტუდენტებს თეორიული ცოდნის მიღების შემდეგ ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების თვალთახედვით.
- **გონებრივი იერიში (brain storming) -** პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს ამერიკისმცოდნეობის თეორიული კურსის ნებისმიერი თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის / პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას.
- **ინდუქციური მეთოდი -** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- **დედუქციური მეთოდი -** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს.
- **ანალიზის მეთოდი** - გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, განსაკუთრებით ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მეთოდის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი, რასაც პროგრამის თეორიული კურსების ყველა ლექტორი იყენებს.
- **პრეზენტაცია** არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას რაც მოიცავს პრეზენტაციის დაგეგმვას, კვლევის ჩატარებას და თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენას.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მეციემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესწავლილი მასალის

დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

- **პრაქტიკული მეთოდები** - აერთანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას (კვლევის დაგეგმვა და განხორციელება)
- **ახსნა-განმაარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს ლექტორის და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **ინდივიდუალური მეთოდი** - გულისხმობს ინდივიდუალურ მიდგომას უნარშეზღუდული სტუდენტების მიმართ, მაგ.: წერითი საგამოცდო და კურსების დამატება/შეცვლის პერიოდის გახანგრძლივებას.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:**

პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი (6000 სთ.) გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის, 8 სემესტრის განმავლობაში. ყველა სემესტრში კრედიტების გადანაწილება არის 30.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტებისადა ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც საუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

დამასრულებელ სემესტრში სტუდენტი წერს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი) და ხდება მისი საჯარო დაცვა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აილოს 80 თავისუფალი კრედიტი, რომლის ფარგლებშიც აგრეთვე, სტუდენტს საშუალება ეძლევა აილოს მათი დასაქმების ხელშეწყობისა და უნარების განვითარების მიზნით დამატებითი ბლოკი (60 კრედიტი ) ან/და მათი ინტერესების გათვალისწინებით აირჩიონ სასწავლო კურსები პროგრამით შეთავაზებული არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ან უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით.

**დასაქმების სფერო:** საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს ამერიკის ექსპერტად საჯარო სამსახურში: პარლამენტში, საგარეო ურთიერთოებების კომიტეტებში, კულტურის კომიტეტებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში (ამერიკის დეპარტამენტი), თავდაცვის სამინისტროში (ნატოს დეპარტამენტი)), საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში, ისტორიის მუზეუმში, ხელნაწერთა მუზეუმში, არქივში, ამერიკის საელჩოში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ამერიკისმცოდნეობის ცენტრი, აღჭურვილი ძვირადღირებული ბიბლიოთეკით, რომელიც საჩუქრად გადასცა ამერიკის საელჩომ ამერიკისმცოდნეობის პროგრამას;
- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტისბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებულისასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები;

**სასწავლო გეგმა**

| | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | საათების განაწილება | | | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | II ს.წ. | III ს.წ. | IV ს.წ. | საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | |

| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | Pსემინარი/ჯგუფური მუშაობა/ლაბორატორიული სამუშაო/პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **უცხო ენა**<br>ქართული ენა<br>(უცხოელებისთვის) | **არჩევითი** | 20 | 5 | 5 | 5 | 5 | | | | | 68 | 104 | 8 | 8 | 188 | 312 | 500 | 12 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | A1.1/A1.2/A2.1/A2.2/ რუსული ენა A1.1/A1.2/A2.1/A2.2/ გერმანული ენა A1.1/A1.2/A2.1/A2.2/, ფრანგული ენა A1.1/A1.2/A2.1/A2.2/ , ესპანური ენა A1.1/A1.2/A2.1/A2.2/, თურქული ენა A1.1/A1.2/A2.1/A2.2/ | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ინფორმაციული ტექნოლოგიები | **სავალდებულო** | 5 | | 5 | | | | | | | 12 | 31 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | აკადემიური წერა | **სავალდებულო** | 5 | | 5 | | | | | | | 15 | 28 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | **თავისუფალი კრედიტები** | **არჩევითი** | 20 | | | 5 | 5 | 5 | 5 | | | 68 | 104 | 8 | 8 | 188 | 312 | 500 | 12 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | **ძირითადი სპეციალობის კომპონენტი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | **სავალდებულო კომპონენტი** | | 80 | 25 | 5 | 1<br>0 | 1<br>0 | 10 | 1<br>0 | 1<br>0 | 1<br>0 | 466 | 297 | 32 | 32 | 827 | 1423 | 2000 | 53 |
| | ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | **სავალდებულო** | | 5 | | | | | | | | 29 | 31 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| | ამერიკული ესსეს წერა* | **სავალდებულო** | | 5 | | | | | | | | 17 | 26 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული მხატვრული და არამხატვრული პროზა* | **სავალდებულო** | | 5 | | | | | | | | 27 | 31 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| | კომუნიკაციის უნარ-ჩვევები | **სავალდებულო** | | 5 | | | | | | | | 27 | 31 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამერიკის ღირსშესანიშნეობები I * | სავალდებულო | | 5 | | | | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკისმცოდნეობის შესავალი* | სავალდებულო | | | 5 | | | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის გეოგრაფია* | სავალდებულო | | | | 5 | | | | | | 30 | 13 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის მულტიკულტურული სწავლება I* | სავალდებულო | | | | 5 | | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის მულტიკულტურული სწავლება II* | სავალდებულო | | | | | 5 | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის ლიტერატურის შესავალი* | სავალდებულო | | | | | 5 | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის ისტორია I* | სავალდებულო | | | | | | 5 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის კულტურა და საზოგადოება * | სავალდებულო | | | | | | 5 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ქალთა საკითხების კვლევა ამერიკაში* | სავალდებულო | | | | | | | 5 | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის ისტორია II* | სავალდებულო | | | | | | | 5 | | | 23 | 20 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის პოლიტიკა * | სავალდებულო | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | კვლევის მეთოდები | სავალდებულო | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | საბაკალავრო ნაშრომი * | სავალდებულო | | | | | | | | | 10 | 30 | 0 | 0 | 0 | 30 | 220 | 250 | 2 |
| | **არჩევითი სასწავლო კომპონენტები** | | **40** | | **10** | **0** | **0** | **5** | **5** | **10** | **10** | **217** | **172** | **16** | **16** | **421** | **579** | **1000** | **27** |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კითხვა ინგლისურად (მაღალი დონე) | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 28 | 30 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| | ინგლისური ენის გრამატიკა (მაღალი დონე) | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 28 | 30 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| | თხზულება (მაღალი დონე) | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 20 | 23 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ინგლისური საუბარი და მოსმენა(მაღალი დონე) | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 27 | 31 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| | ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ამერიკის ღირსშესანიშნაობები II* | **არჩევითი** | | | 5 | | | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული მოთხრობა* | **არჩევითი** | | | | | | 5 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | დამოუკიდებელი საქართველოს და აშშ-ს ურთიერთობების განვითარება* | **არჩევითი** | | | | | 5 | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა | **არჩევითი** | | | | | | 5 | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის ინსტიტუციები* | **არჩევითი** | | | | | | | 5 | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული რომანი* | **არჩევითი** | | | | | | | 5 | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ჰოლივუდი* | **არჩევითი** | | | | | | | | 5 | | 26 | 17 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული მუსიკა და კინო* | **არჩევითი** | | | | | | | | 5 | | 16 | 27 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამერიკის ბიზნეს სამართალი* | არჩევითი | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის ეკონომიკა* | არჩევითი | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკელი ქალების ისტორია* | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO)* | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული მედია* | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | პიროვნება და ფსიქოლოგია | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკის პრეზიდენტები და აშშ-სა საგარეო პოლიტიკა* | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | რასა და თანამედროვე პოლიტიკური აზრი | არჩევითი | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | აშშ-ს საგარეო პოლიტიკა 1945 წლიდან დღემდე* | არჩევითი | | | | | | | | 5 | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | ამერიკული ხელოვნება* | არჩევითი | | | | | | | | | 5 | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | **ბლოკი/თავისუფალი კრედიტები** | **არჩევითი** | **60** | | | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | **204** | **312** | **12** | **12** | **540** | **960** | **1500** | **18** |
| | **სულ** | | **240** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **1071** | **1027** | **80** | **80** | **2258** | **3742** | **6000** | |

**შენიშვნა:**

1. კვირეული საკონტაქტო საათების მითითებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა კვირაში საათები არ არის ერთნაირად გადანაწილებული: პირველ კვირაში ყველა სასწავლო კურსი მოიცავს მხოლოდ ლექციას.
2. რადგან ყველა არჩევით საგანს არა აქვს საათების ერთნაირი განაწილება (ლექცია-სემინარი-პრაქტიკული-შუალედური გამოცდა)ჯამური საათების გაანგარიშებისას, პირობითად ვიღებთ პირველი 8 სასწავლო კურსის მონაცემებს.

3. უცხო ენის და თავისუფალი კრედიტების არჩევითი სასწავლო კურსების საათების განაწილების გრაფაში პირობითად არის მითითებული საათების განაწილება;
4. * -მონიშნულია ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 8 კურსი (40 კრედიტი)

**წინაპირობების ცხრილი:**

| სასწავლო კომპონენტი | წინაპირობა | | | |
|---|---|---|---|---|
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | – | – | – | – |
| კომუნიკაციის უნარ-ჩვევები | – | – | – | – |
| ამერიკული ესსეს წერა | – | – | – | – |
| აკადემიური წერა | | – | – | – |
| ამერიკული მხატვრული და არამხატვრული პროზა | – | – | – | – |
| ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | – | – | – | – |
| ამერიკისმცოდნეობის შესავალი | – | – | – | – |
| ამერიკის ღირსშესანიშნაობები I | – | – | – | – |
| ამერიკის გეოგრაფია | – | – | – | – |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება I | – | – | – | – |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება II | – | – | – | – |
| ამერიკის ლიტერატურის შესავალი | – | – | – | – |
| ამერიკის კულტურა და საზოგადოება | – | – | – | – |
| ამერიკის ისტორია I | – | – | – | – |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამერიკის ისტორია II | ამერიკის ისტორია I | – | – | – |
| ქალთა საკითხების კვლევა ამერიკაში | – | – | – | – |
| ამერიკის პოლიტიკა | – | – | – | – |
| კვლევის მეთოდები | – | – | – | – |
| საბაკალავრო ნაშრომი | საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა ძირითადი სპეციალობის ყველა სავალდებულო კურსის გავლა | | | |
| ამერიკელი ქალების ისტორია | | | – | – |
| ამერიკული ინსტიტუციები | – | – | – | – |
| პიროვნება და ფსიქოლოგია | – | – | – | – |
| ამერიკის ბიზნეს სამართალი | – | – | – | – |
| ამერიკის ეკონომიკა | – | – | – | – |
| ამერიკის პრეზიდენტები და აშშ-სა საგარეო პოლიტიკა | – | – | – | – |
| ამერიკის ღირსშესანიშნაობები II | - | – | – | – |
| ამერიკული მუსიკა და კინო | – | – | – | – |
| ამერიკული რომანი | – | – | – | – |
| კითხვა ინგლისურად (მაღალი დონე) | – | – | – | – |
| ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები | – | – | – | – |
| ამერიკის მედია | – | – | – | – |
| ინგლისური ენის გრამატიკა (მაღალი დონე) | – | – | – | – |
| თხზულება (მაღალი დონე) | – | – | | |
| მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა | – | – | – | – |
| ინგლისური საუბარი და მოსმენა (მაღალი დონე) | – | – | – | – |
| ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO) | – | – | – | – |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამერიკული მოთხრობა | - | – | – | – |
| ჰოლივუდი | – | – | – | – |
| ამერიკული ხელოვნება | – | – | – | – |
| რასა და თანამედროვე პოლიტიკური აზრი | – | – | – | – |
| დამოუკიდებელი საქართველოს და აშშ-ს ურთიერთობების განვითარება | – | – | | |
| აშშ-ს საგარეო პოლიტიკა 1945 წლიდან დღემდე | - | – | | |

- ინგლისური ენა პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგ საფეხურებად: A1, A2, B1, B2.1, B2.2. A1 საფეხურს დაშვების წინაპირობა არ აქვს, ხოლო ყოველი შემდეგი საფეხურის წინა პირობა მისი წინა საფეხურია.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

| სასწავლო კომპონენტი | სახელი და გვარი | სტატუსი/კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| რუსული ენა: A1.1/A1.2/A2.1/A2.2/B1/B2<br>თურქული/ფრანგული ენა: A1.1/A1.2/A2.1/A2.2/B1.1/B1.2<br>გერმანული/ესპანური ენა: A1.1/A1.2/A2.1/A2.2<br>ქართული ენა (უცხოელებისთვის) A1.1/A1.2/A2.1/A2.2/ | 1. გულნარა დიასამიძე<br>2. ხათუნა ტაბატაძე<br>3. ილიას უსტუნიერი<br>4. მუსტაფა არსლანი<br>5. ნინო წულაია<br>6. ინგა ტყემალაძე<br>7. მაგდა გოგრიჭიანი<br>8. თამარ აბულაძე<br>9. ნათია ფუტკარაძე | 1. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი<br>2. მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი<br>3. აფილირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი ფილოლოგიაში<br>4. აფილირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი ფილოლოგიაში<br>5. მოწვეული ლექტორი,მაგისტრი |

| | | |
|---|---|---|
| | | 6. მოწვეული ლექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი (ფრანგული ენა)<br>7. მოწვეული ლექტორი, გერმანული ენის მაგისტრი<br>8. მოწვეული ლექტორი, ესპანური ენის მაგისტრი<br>9. მოწვეული ლექტორი, დოქტორი |
| ამერიკული ესსეს წერა | აბიგაილ რეიდი | მაგისტრი, მოწვეული ლექტორი (აშშ) |
| აკადემიური წერა | აბიგაილ რეიდი/<br>მაია ჩქოტუა | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით/<br>მაგისტრი, მოწვეული ლექტორი (აშშ) |
| კვლევის მეთოდები | ირინე ბახტაძე | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის პოლიტიკა | ირინე ბახტაძე | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | ირინე ბახტაძე | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება I | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის მულტიკულტურული სწავლება II | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის კულტურა და საზოგადოება | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |

| | | |
|---|---|---|
| ქალთა საკითხების კვლევა ამერიკაში | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის ლიტერატურის შესავალი | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკული მხატვრული და არამხატვრული პროზა | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის ღირსშენიშნაობები I | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის ისტორია I | თეა ჭუმბურიძე | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის ისტორია II | ლაშა ქურდაშვილი | მოწვეული ლექტორი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი |
| ამერიკისმცოდნეობის შესავალი | თეა ჭუმბურიძე | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| კომუნიკაციის უნარ-ჩვევები | ნინო გამსახურდია,<br>კევინ ჰირში | ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი<br>მოწვეული ლექტორი, მაგისტრი, აშშ |
| ამერიკის გეოგრაფია | ნუგზარ სიხარულიძე | მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები | დავით დათუაშვილი | დოქტორი, ასისტენტ პროფესორი |
| საბაკალავრო ნაშრომი | პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი | |
| ამერიკელი ქალების ისტორია | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკული ინსტიტუციები | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| პიროვნება და ფსიქოლოგია | თამარ შიოშვილი | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის ბიზნეს სამართალი | ირაკლი კლდიაშვილი | მოწვეული ლექტორი; სამართლის დოქტორანტი (ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ) |

| | | |
|---|---|---|
| ამერიკის ეკონომიკა | აზერ დილანჩიევ | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი |
| ამერიკის პრეზიდენტები და აშშ-სა საგარეო პოლიტიკა | ლაშა ქურდაშვილი | მოწვეული ლექტორი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი |
| ამერიკის ღირსშესანიშნაობები II | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკული მუსიკა და კინო | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკული რომანი | ორი სოლტეს<br>გიორგი შადური | მოწვეული ლექტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტი, აშშ<br>დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| კითხვა ინგლისურად (მაღალი დონე) | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკის მედია | ნუგზარ სიხარულიძე | მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი |
| ინგლისური ენის გრამატიკა (მაღალი დონე) | ირინე ბახტაძე | დოქტორი, აფილირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| თხზულება (მაღალი დონე) | მაია ჩქოტუა | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით |
| მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ინგლისური საუბარი და მოსმენა (მაღალი დონე) | ნინო გამსახურდია<br>კევინ ჰირში | ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი |

| | | |
|---|---|---|
| | | მოწვეული ლექტორი, მაგისტრი |
| ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO) | ჯონათან სკოტი | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ამერიკული მოთხრობა | გიორგი შადური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| ჰოლივუდი | ზვიად დოლიძე | მოწვეული ლექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი |
| ამერიკული ხელოვნება | ხათუნა ხაბულიანი | მოწვეული ლექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, |
| აშშ-ს საგარეო პოლიტიკა 1945 წლიდან დღემდე | გიგი წიკლაური | დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით |
| დამოუკიდებელი საქართველოს და აშშ-ს ურთიერთობების განვითარება | თაკო ჯობავა | მოწვეული ლექტორი, მაგისტრი |
| რასა და თანამედროვე პოლიტიკური აზრი | თაკო ჯობავა | მოწვეული ლექტორი, მაგისტრი |

## სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

| № | სასწავლო კურსი პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი | კოდი | სემესტრი | წინაპირობა | ლექტორი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის | AMS426 | I | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი ირინე ბახტაძე |
| 2 | ამერიკული მხატვრული და არამხატვრული პროზა | AMS423 | I | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 3 | ამერიკული ესსეს წერა | AMS427 | I | არ აქვს | მაგისტრი, მოწვეული ლექტორი აბიგაილ რეიდი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | კომუნიკაციის უნარ-ჩვევები | AMS425 | I | არ აქვს | ასოცირებული პროფესორი დოქტორი ნინო გამსახურდია/ კევინ ჰირში მოწვეული ლექტორი, მაგისტრი (აშშ) |
| 5 | ამერიკის ღირსშესანიშნაობებ ი I | AMS111 | I | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 6 | აკადემიური წერა | AMS108 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მაია ჩქოტუა/ მაგისტრი, მოწვეული ლექტორი (აშშ) აბიგაილ რეიდი |
| 7 | ამერიკის მულტიკულტურულ ი სწავლება I | AMS201 | III | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი |
| 8 | ამერიკის გეოგრაფია | AMS205 | III | არ აქვს | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ნუგზარ სიხარულიძე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | ამერიკის მულტიკულტურულ ი სწავლება II | AMS202 | IV | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი |
| 10 | ამერიკული ლიტერატურის შესავალი | AMS204 | IV | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 11 | ამერიკისმცოდნეობ ის შესავალი | AMS113 | IV | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თეა ჭუმბურიძე |
| 12 | ამერიკის კულტურა და საზოგადოება | AMS303 | V | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი |
| 13 | ამერიკის ისტორია I | AMS305 | V | არ აქვს | თეა ჭუმბურიძე დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14 | ამერიკის ისტორია II | AMS306 | VI | ამერიკის ისტორია I | ლაშა ქურდაშვილი, მოწვეული ლექტორი დოქტორი |
| 15 | ქალთა საკითხების კვლევა ამერიკაში | AMS308 | VI | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, თამარ შიოშვილი |
| 16 | კვლევის მეთოდები | AMS401 | VII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, ირინე ბახტაძე |
| 17 | ამერიკის პოლიტიკა | AMS414 | VII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, ირინე ბახტაძე |
| 18 | ინგლისური ენის გრამატიკა (მაღალი დონე) | AMS102 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, ირინე ბახტაძე |
| 19 | კითხვა ინგლისურად (მაღალი დონე) | AMS104 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 20 | თხზულება (მაღალი დონე) | AMS106 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მაია ჩქოტუა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | ამერიკული მოთხრობა | AMS107 | V | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 22 | ინგლისური საუბარი და მოსმენა (მაღალი დონე) | AMS110 | II | არ აქვს | ასოცირებული პროფესორი დოქტორი ნინო გამსახურდია/ კევინ ჰირში მოწვეული ლექტორი, მაგისტრი (აშშ) |
| 23 | ამერიკის ღირსშესანიშნაობებ ი II | AMS112 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 24 | ლიტერატურული ტერმინები და მინდინარეობები | AMS206 | II | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, შადური |
| 25 | დამოუკიდებელი საქართველოს და აშშ-ს ურთიერთობების განვითარება | AMS422 | IV | არ აქვს | მაგისტრი, მოწვეული ლექტორი თაკო ჯობავა |
| 26 | მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა | AMS302 | V | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, ნათელა დოლონაძე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27 | ამერიკული რომანი | AMS301 | VI | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური / ორი სოლტესი მოწვეული ლექტორი დოქტორი |
| 28 | პიროვნება და ფსიქოლოგია | AMS304 | V | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, თამარ შიოშვილი |
| 29 | ამერიკის ინსტიტუციები | AMS408 | VI | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, თამარ შიოშვილი |
| 30 | ამერიკის მედია | AMS406 | VIII | არ აქვს | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ნუგზარ სიხარულიძე/ |
| 31 | ამერიკული მუსიკა და კინო | AMS418 | VII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიორგი შადური |
| 32 | ჰოლივუდი | AMS417 | VIII | არ აქვს | მოწვეული ლექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ზვიად დოლიძე |
| 33 | ამერიკის ეკონომიკა | AMS404 | VII | არ აქვს | აზერ დილანჩიევ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი |
| 34 | ამერიკის ბიზნეს სამართალი | AMS405 | VII | არ აქვს | ირაკლი კლდიაშვილი, მოწვეული ლექტორი; დოქტორანტი (ჰარვარდის უნივერსიტეტიაშშ) |
| 35 | რასა და თანამედროვე პოლიტიკური აზრი | AMS421 | VII | არ აქვს | მაგისტრი, მოწვეული ლექტორი თაკო ჯობავა |
| 36 | აშშ.ს საგარეო პოლიტიკა 1945 წლიდან დღემდე | AMS420 | VII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, გიგი წიკლაური |
| 37 | ამერიკის პრეზიდენტები და აშშ-სა საგარეო პოლიტიკა | AMS416 | VIII | არ აქვს | მოწვეული ლექტორი, დოქტორი ლაშა ქურდაშვილი |
| 38 | ამერიკელი ქალების ისტორია | AMS409 | VIII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული პროფესორი, თამარ შიოშვილი |
| 39 | ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO) | AMS411 | VIII | არ აქვს | დოქტ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ჯონათან სკოტი |
| 40 | ამერიკული ხელოვნება | AMS 443 | VIII | არ აქვს | მოწვეული ლექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხათუნა ხაბულიანი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 41 | ინფორმაციული ტექნოლოგიები | CEN122 | | არ აქვს | დოქტ. ასისტენტ პროფესორი დავით დათუაშვილი |
| 42 | საბაკალავრო ნაშრომი | AMS410 | VIII | ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი | პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი |